№ 136 4 ენკენისთვე, კვირა 1866—1877 4 ენკენისთვე, კვირა № 136

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Д р о э б а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

„დროებაზე“

1 სეკტემბრიდამ ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ზანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: ***Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Д р о э б а“.***

ცალკე ნომრები

„დროებისა“

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება კიდეც:

ქუთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

ბექათუბანში—სტანციის ბუფეტში,

ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში და

ოზურგეთში—თუმანოვის მაღაზიაში.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

ლონდონი, 2 (14) ენკენისთვეს. „Times“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 1 ენკენისთვიდამ: გუშინ, ოთხი დღის სროლის შემდეგ, რუსები იერიშით მიადგნენ პლევნას. ერთის მხრით იყო რუსის ჯარი 20,000 კაცი (სკობილევი და თ. იმერეტინსკი), მეორეს მხრით რუმინიის ჯარი (ღენ. ზოტოვი). ოსმალებს 14 სიმაგრე აქვთ პლევნას გარშემო. სკობილევი მიადგა ერთ რედუტს, მაგრამ ოსმალოები დაეცნენ იმას და უკან დააწევინეს. შემდეგ კიდევ მიადგნენ სხვა რედუტებს, მაგრამ ოსმალოების მხრით ისეთი სროლა იყო, რუსებმა ვერ გაუძლეს და იძულებული იყვნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ზოტოვის რუმინების ბრიგადა, რომელიც შუა რედუტებს მიადგა, აგრეთვე უკუაქციეს. ხუთ საათზე აღმოჩნდა, რომ რუსისა და რუმინიის ჯარები ყველა მხრიდამ უკან დაწეულან.

ამ დრომდინ კორრესპონდენტი თვითონ იყო ბრძოლის ველზე.

სალამოს, გვიან, ხელმწიფე იმპერატორი მთავარ კვარტირაში დაბრუნდა.

დღეს იმპერატორის ადიუტანტმა მოიტანა ამბავი, რომ გუშინ შვიდ საათზე რუსის ორმა ახალ ბრიგადამ აიღეს რედუტები, რომელიც დილით ვერ აიღესო; რუსებმა აიღეს აგრეთვე გრივიცის რედუტი. ეს აღებული რედუტები დასჩერებიან ოსმალოების სიმაგრეებს.

ამ დღეს რუსების მხრის ექვსი ათას (6,000) კაცამდინ არის დახოცილი და დაჭრილი.

პორადიმი, 1 ენკენისთვე. გუშინ ჩვენ ერიშით ალარ მივსულვართ პლევნოზე. ვესროდით კი ყუმბარებს ოსმალოს სიმაგრეებსა და თვითონ ქალაქს, რომელშიაც ცეცხლი გაჩნდა. ოსმალები ცოტას ისროდნენ აქეთკენ.

უმთავრესი ყურადღება ოსმალებმა ჩვენს მარცხენა ფლანგს მიაქციეს, რომლისაკენაც ღენერალ სკობილევმა ხუთჯერ დააბრუნა უკან იერიშით მოსული ოსმალოს ჯარი; მაგრამ მეექვსეჯერ კი, სალამოს, ის იძულებული შეიქნა, რომ 30 აგვისტოს წართმეული პლევნის სიმაგრეები დაეთმო და უკან დაებრუნებინა ოსმალებისათვის.

ღამით ჩვენი ჯარი გამაგრდა თავის პოზიციებზე პლევნას გარშემო.

ბრძოლის დაწყებიდამ დღეს პირველ საათამდინ 6,000 რუსის დაჭრილები მოიყვანეს ბანაკში.

სხვაგან, ბრძოლის ველზე, მტერთან შეტაკება არ გვქონია. რუსჩუკის ატრიადი ნახევარი დღის სავალზედ დაბანაკდა მდინარე ჩორნი-ლომიდამ, რომლის ნაპირებიც ოსმალოებისაგან არის დაჭერილი.

—

პარიჟი, 21 აგვისტოს. სასამართლომ გადაუწყვიტა ლეონ გამბეტტას, იმის დაუსწრებლად, სამი თვით საპყრობილეში დამწყვდევა და 200 ფრანკის გადახდა იმ სიტყვისათვის, რომელიც იმან 3 (15) აგვისტოს წარმოსთქვა ლილში და რომელიც სასამართლომ რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრების შეურაცხმყოფელ სიტყვათ აღიარა.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

„ბირჟის სააგენტოში“ 21 აგვისტოს დაბეჭდილია ყარსიდამ მიღებული შემდეგი დეპეშა, რომელიც გვაცნობებს მუხთარ-ფაშის არმიის მდგომარეობას:

„პატარა იაღნის მთაზე ოსმალოებს 19 ბატარეია აქვთ გამართული (თითო ბატარეიაში 8 ზარბაზანი ითვლება). ალაჯიდამ ჯარები საზოგადო ბანაკში გადაიყვანეს. თერხანის მთისკენაც ჯარებია დაყენებული; აქ იმყოფება ერთი ნაწილი ცხენოსანი ჯარისა.

„სურსათის ნაკლულევანებას მუხთარფაშის ჯარი სრულებით არა გრძნობს; ჯერ-ჯერობით ყველაფერი ბლომათ მოაქვთ ყარსიდამ და ერზრუმიდამ.“

—

ამავე გაზეთში ალექსანდრაპოლიდამ იწერებიან, რომ დღე-და-ღამ, აქაურ ჯარებს მოსვენება არა აქვთო, მუდამ თითო-ოროლა ბატალიონი იგზავნება მტრის ჯარებისა და სიმაგრეების დასათვალიერებლად და ყარაულები რუსის ჯარების წინ დგანან, რომ იმ წამსვე შეატყობინონ, თუ ვინიცობაა მტრის ბანაკში რაიმე უჩვეულებრივო მოძრაობა ანუ ფაცა-ფუცი შენიშნონ. აქ ამბობენო, იწერება ზემოხსენებული გაზეთი, რომ შამილის შვილი—ყაზი-მაჰომა შამილი 2,000 ცხენოსანი კაცით გამოსულა ოსმალოს ლაგირიდამ, მაგრამ საითკენ წავიდა, ჩვენ არ ვიცით.“

—

რუსულ გაზეთს „С.-Петерб. Вѣдом.“ დაბეჭდილია ტფილისიდამ 25-ს მიღებული დეპეშა, რომელიც ამბობს, რომ ღენერალი ჩერნიაევი აქედამ პიატიგორსკის წყლებზე წავიდა საქიმოთაო, ალექსანდროპოლის კორპუსში იმას არავითარი დანიშნულება (თანამდებობა) არ მისცესო. ღენერალი დეველი თავის დივიზიით ამ ჟამათ ერევნის ატრიადში იმყოფებაო.

—

გაზეთს „Голосъ“-ში (№ 196) დაბეჭდილია ბიულუჯიდამ (ერევნის ატრიადიდამ) მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერენ:

„ტერ-ღუკასოვს ახალი ჯარი მოუვიდა ამ ნაირად ერევნის ადრიატი ამჟამად 20 ბატალიონისაგან შესდგება.

„ოსმალოები 15 ვერსზე დგანან ბიულუჯიდამ, ყარავანსარაის მთებში. ერთი ნაწილი ტერ-ღუკასოვის ატრიადისა იგდირში დგას, მეორე—აქ, ბიულუჯიში.“

—

ოსმალეთის მთავრობამ შემდეგი განკარგულება გამოსცა:

ყველა კორპუსების უფროსებს ბრძანება მოუვიდათ, რომ ტყვები პირ-და-პირ სტამბოლში გაგზავნონ.

მცირე აზიის ოსმალოს არმიის მთავარ-სარდალს მუხთარ-ფაშას შეუთვალეს, რომ სასტიკად დასაჯონ ის ქურთები, რომელთაც რაიმე უწესოება და მხეცური მოქმედება ჩაიდინეს და დახოცეს ქრისტიანები.

სულეიმან-ფაშა ძალიან სასტიკად ეპყრობა იმ ბაშიბუზუკებს და ჩერქეზის ჯარს, რომელთაც რაიმე უწესოება ჩაიდინეს ამ ომის განმავალობაში; ჟენევის კონვენციის წესდების მუხლები, რომელშიაც მოხსენებულია, თუ როგორ უნდა წარმოებდეს ბრძოლა, გადათარგმნულა თათრულს ენაზე და ოსმალოს ყველა ჯარებში დარიგებულია. სასტიკად სჯიან საზოგადოთ ყველას, ვინც ამ წესდებას გადასცდება, ე. ი. ვინც მშვიდობიან მცხოვრებელის მოკვლას ანუ სოფლების გაცარცვას, აკლებას გაბედავს.

—

ფრანცუზული გაზეთის „Le Temps“-ის კორრესპონდენტს შეუკრებია საინტერესო ცნობანი ყარსის შესახებ, რომლიდამაც აქ ზოგიერთი ალაგები მოგვყავს:

„ოსმალოების გამოიანგარიშებით, სამი კვირის განმავალობაში, რომელიც ყარსთან დაჰყვეს რუსებმა, რუსის ჯარს 40,000 ყუმბარა უსვრიათ ყარსისაკენ და ამ ყუმბარებით მოუკლავთ მხოლოთ 100 კაცი და 350-მდინ დაიჭრაო.

„ოსმალოებს ჰგონებიათ, რომ ყარსს 50,000 კაცი ერტყა გარშემო და ამიტომაც შეშინებიათ. ერთმა ყარსელმამითხრა, რომ თუ გვცოდნოდათ, რომ ყარსთან 25,000 რუსის ჯარის მეტი არ იყო, მაშინ ასე ფრთხილად და გაუბედავად არ ვიმოქმედებდითო. დღისით ვერ გამოდიოდნენ თურმე ყარსიდამ ოსმალოები, მაგრამ ღამით კი მუდამ გამოდიოდნენ, ახლო-მახლო სოფლებში დაიარებოდნენ, მოჰქონდათ რაც ეჭირებოდათ და სხვა და სხვა ამბებს ტყობულობდნენ მცხოვრებლებისაგან რუსის ჯარების შესახებ.

„ყარსში ცხოვრობს სულ 15,000 მოსახლე, ამათგან 12,500 ოსმალო და 2,500 სომეხი-ქრისტიანი.“

—

ევროპის ბრძოლის ველიდამ

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი „ხალხთა-შორის სააგენტოს“ ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ რადგან ამ მოკლე ხანში ბოლგარიაში წვიმებს დაიწყებს, ამის გამო რუსის მთავარ კვარტირაში გადაწყვიტესო, რომ რაც შეიძლება დაუჩქარონ ლაშქრობის გათავებასაო. ამ მოსაზრების გარდა, პოლიტიკური და ფინანსიური გარემოების მიზეზითაც ჩქარობენო.

—

„მოსკოვის უწყებების“ რედაქცია მოიწვევს რუსის საზოგადოებას, რომ, რადგან ხაზინას, ამ ომიანობის გამო, ბევრი ოქროსა და ვერცხლის ფული ეჭირვებაო, ამის გამო ყოველი მამულისმოყვარე შვილი ვალდებულია ამ შემთხვევაში დაეხმაროს მთავრობასაო, და ეს დახმარებაც ის იქნება, რომ, თუ რამ ძველი, გაფუჭებული ოქროსა და ვერცხლის ნივთი ვისმეს ეგულება, მმართებლობას შესწიროს, რომელიც ან გადაადნობს ამას ფულად და ან როგორც საჭიროთ დაინახავს, ისე მოიხმარსო. თვითონ ამ გაზეთის რედაქციაც ღებულობს თავის კანტორაში ყოველ ამგვარ შეწირვას, რომელსაც, იმ წამსვე, მოსკოვის ხაზინაში წარვადგენთო.

—

„ბირჟის უწყებების“ კორრესპონდენტი იწერება დუნაიდამ, რომ ლოვჩის აღებას ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ პლევნასთან თუ ოსმან-ფაშის არმია დავამარცხეთ, შემდეგ ამ არმიას უკან დასაბრუნებელი გზა მოსპობილი ექნებაო, ლოვჩაზე ველარ გაივლიან და იძულებული იქნებიან გაიფანტონო.

პლევნას აღების შემდეგ, კორრესპონდენტის სიტყვით, ჩვენი ჯარი თავისუფლად, დაუბრკოლებლივ გაივლის ბალკანის მთებში, რადგან სულეიმან-ფაშა ჩვენ იქ მაშინ ველარ დაგვაბრკოლებს და ამნაირად ჩვენ ადრიანოპოლამდინ თავისუფლად მივალთო.

—

დობრუჯელი კორრესპონდენტი გაზეთის „Голосъ“-სა იწერება, რომ აქ მყოფი ჩვენი ჯარი ([illegible]-კორპუსი) ძალიან ცუდს მდგომარეობაში არისო, რადგან ბევრი ავათ ხდება ცუდის ჰავის გამოვო. რუსისა და უცხო ქვეყნის გაზეთებში დიდი ხანია იწერებიანო, რომ ვითომც ჩვენი ჯარი სილისტრიას გარშემორტყმულია, მაგრამ ეს ამბავი მართალი არ არისო.

—

„ჟენევის ჟურნალი“ გვაცნობებს, რომ შიპკოს გასავალთან რომ შვიდი დღის განმავალობაში გაუწყვეტელი ბრძოლა იყო, იმ ბრძოლაში რუსის მხრით 7,000 კაცი არის დახოცილიო და ოსმალოს მხრით კი—22,000 კაციო.

—

ბერლინის გაზეთს „Notional Zitung“-ში დაბეჭდილია რუმინიის მთავრის პროკლამაცია, რომლითაც იმას მიუმართავს თავის ჯარისათვის:

„თუ ოსმალოებმა გაიმარჯვეს, უეჭველია, ისინი შემოვლენ რუმინიაში და აგვიკლებენ, აგვაოხრებენ. თუ გვინდა ეს ბარბაროსები თავიდამ ავიცილოთ, ოსმალოებს ოსმალეთში უნდა ვებრძოლოთ. რუსის ხელმწიფე ჩემსავით მოელის, რომ რუმინიის ჯარი ისეთისავე წყობილობით და მხნეობით გამოიჩენს თავის თავს, როგორც რუსის ჯარმა გამოიჩინა. მე მაბარია პლევნასთან მყოფი ორი კორპუსის სარდლობა. თქვენზედ, სალდათებო, დამოკიდებულია გაანთავისუფლოთ სამშობლო და მთელი ხალხის მადლობა დაიმსახუროთ!“

შინაური

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ თითქმის კვირა ისე არ გაივლისო, რომ ჩვენს იარმუკაში ერთი საშინელი ჩხუბი და აყალმაყალი არ მოხდესო, უფრო ხშირად ეს ჩხუბი რუსის სალდათებსა და კინტოებს შუა ხდება თურმე, და პატრონი არ არისო, რომ ამ გვარ უწესოებას ყური ათხოვოსო.

*** ძალიან კარგი იქნება, რომ იმერეთის სოფლებშიაც ისე დაარიგოს ადგილობრივმა მთავრობამ ცალკე გამოცემული ქართული ბროშურები შესახებ პირუტყვის ჭირისა და მუცელასი, როგორც ქართლში დაურიგებიათ. ეს ძვირად არ დაჯდება და ხალხს კი, უეჭველია, დიდ შეღავათს მისცემს.

*** ჩვენ მივიღეთ გორიდამ შემდეგი შენიშვნა:

„გორში ქართული წარმოდგენა მოდათ შემოვიდა. წინანდელი წარმოდგე-

ნები ხო გამოცხადდა გაზეთში. დღეს, 28-ს, კიდევ იყო „შ უ შ ა ნ ი კ“ „ტურციიდამ“ გადმოსახლებული 3,000 სომხების სასარგებლოდ.

„დაბეჭდილი აფიშები გვაცნობებენ, რომ უკანასკნელი ბილეთი ღირს ერთი მანეთი. მანეთობაზე კი წავიდა საქმე დაა! ერთი წარმოდგენაც არ იყო აქ ისეთი, რომ მანეთზე ნაკლებიანი ბილეთი ჰყოფილიყოს. Iცით რისთვის არი ეგრე ძვირი ბილეთები? მისთვის, რომ ჩემისთანა „ჩიხა-მახები არ შეეთრენ“. უხაროდესთ, რომ მაინც არ დავდივართ „ჩიხა-მახები“.

„წარმოდგენები რო იმართება, ანგარიშიც უნდა გააგებინონ საზოგადოებას! ვინ იცის, სად მიდის ეს ფულები? დიდი საქმეა, ორიოდე სიტყვით გაგვიგოთ შემოსავალ-გასავალი? მადლობა ღმერთს გაზეთებში დიდის სიამოვნებით იღებენ ამ გვარ საქმეებს. მაგრამ ვინ გკითხავს „ჩიხა-მახებსა, ბარი ათ შაურათაო?.. Tქვენ იცით, თუ მარტო სიტყვით არ სწირავთ ამ ფულებს გაჭირვებულებს.“

„დროების“ კორრესპონდენცია

მოზდოქიდამ, 26 აგვისტოს. (დასასრული.)

როგორც ზევითა ვსთქვი, ეკკლესიის გალავანში იწვნენ მლოცველები; ზოგი ხალიჩებზე და ზოგი ტიტველა მიწაზედ—ღამეს ათევდენ, როგორც შეწირული ჰქონდათ. მათ შორის ბევრი ავათ-მყოფნი იყვნენ და ღამის თევით მოელოდნენ განკურნებას, მაგრამ ისე თქვენი მტერი განიკურნოს, როგორც ესენი განიკურნენ: ნაშუაღამევს შავმა ღრუბელმა ერთიანათ დაფარა აქამომდე აჭრელებული ცა, შეჯდა წმინდა Iლია თავის რიხ-რიხა ურემზე და დააწყებინა იქით-აქეთ რიხინ-რიხინი, დაატაკა ერთმანეთს შავი ღრუბელი, ღრუბლებმა როგორც გამოცდილმა ფალავანდებმა, ასწიერეს ერთ-მანეთი და უხვათ აქციეს მარგალიტის ოფლი.. Iგვრძნეს თავის საკუთარ ზურგზე ღამის მთევლებმა ამ ოფლის უზომოდ ღვრა, არ მოეწონათ შუაღამეზე წვიმის ქვეშ ყოფნა; მაგრამ რა უნდა ექნათ, სად უნდა გაქცეულიყვნენ?

Aხლო-მახლო თავისუფალი სახლები არ იყო და მოსახლეებს შუაღამეზედ ვერ მიადგებოდნენ კარზე და თუნდაც მისდგომოდნენ, სახლში ვინ შაუშვებდა დასოველებულ, ტალახში ამოსვრილ ხალხს.

ამ ნაირად ისინი მთელი ღამე დარჩნენ შეშველებელი წვიმის ქვეშ და ძვლებამდე დასველდნენ.

რასაკვირველია, ღამით წვიმის ქვეშ ყოფნა და გაცივება არ მოუხდათ ავათმყოფთ და საღავათის მაგიერად, ავათმყოფობა გაუძლიერდათ და ერთმა მათგანმა თქვენი ჭირი წაიღო: მიძინების მეორე დღეს საუკუნოთ „მიიძინა“. Cუდი მიძინება გაუთენდა საწყალობელს.....

Iვერიის ღვთის-მშობლის ხატის შესახებ ხალხში გავრცელებული არის გარდმოცემა, ვითომც Tამარ-დედოფალს უჩუქებია ეს ხატი ერთი ოსის თავადისთვის და საქართველოდამ Oსეთში მოგზაურების დროს ეს ხატი გაჩერებულა იმ ადგილს, სადაც ეხლა იმყოფება და ვერაფრით აქედამ ვერ დაუძრავთ, ამიტომ დაუსვენებიათ და აუშენებიათ მის სახელზე ეკკლესია.

როგორც ამბობენ, უწინდელ დროებში შორს ყოფილა გასული ხმა ამ ხატის სასწაულ-მოქმედებაზე და უთვალავი მლოცველები მონავალან აქ შორე და ახლო რუსეთის კუთხეებიდამ; მაგრამ, როგორც დრო გადიოდა, მლოცველების რიცხვი თან-და-თან მცირდებოდა და წელს მიაწია იქამომდე, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს უკვირთ ამ ნაირი მლოცველების სიმცირე.

მლოცველების რიცხვის წელს ასე შემცირებას ბევრნი აწერენ სხვა-და-სხვა მიზეზებს: ერთი ამბობს, რომ ხალხი განირყვნა, სარწმუნოება დაიკარგა, ღმერთი აღარ სწამთ და კაცი; მეორე—ხალხს სარწმუნოება არ დაჰკარგვია, ღმერთიც სწამთ და კაციც, მაგრამ რა ჰქნას, მისი უმეტესი ნაწილი Oსმალეთშა არის გარეკილი და იქიდამ ხო ვერ გამოიქცევიან; მესამე—სიხარულით მოვიდოდნენ, მაგრამ გზები არიან შეკრულნი, კავკაზიის მთიულების ეშინიათ; მეოთხე—ამ დღესასწაულს წელს ისეთი ალო დაესწრო, რომ ყოვლად შეუძლებელი არის ჭირნახულის უპატრონოთ დაგდება და სალოცავათ გამომგზავრება, მით უფრო რომ თითქმის ყველა Yაზახების სტანიცებში მარტო ქალები, უსუსური ყმაწვილები და უკბილო ბებრები კიდევღა არიან დატოვებულნი, სხვები, ვისაც კი ხრმლის თრევა შაუძლია, წაყვანილნი არიან Oსმალების ამოსაჟლეტათაო. Aქაურები ასე ფიქრობენ.

რაიცა შეეხება იარმუკას, ამაზე შეგვიძლია ვსთქვათ შემდეგი:

მრავალი რქიანი საქონლის და ცხენის ჯოგები მორეკეს იარმუკაზე გასასყიდათ. მოზდოქელმა ვაჭრებმა გამოაფინეს თავისი სხვა-და-სხვა სავაჭრო. სხვა ქალაქიდამაც (როგორც: ვლადიკავკაზი, გიორგიევსკი და სხ.) მოვიდნენ ვაჭრები და გამართეს კონკურენცია. Yოველ-გვარი ფართალი ძლიერ ეფობდა—უკეთეს ჩითს იყიდიდით თხუთმეტ - თექვსმეტ კაპეიკათ. ღვინო და პური, განსაკუთრებით უკანასკნელი, ძუძუთაც იყო. Tუჯობესი, თავი პურის ფქვილი ოთხ აბაზ ზევით არ იწევდა ფუთი, უფრო დარე კი სამი აბაზიდამ სამ აბაზ-უზალთულამდე ადიოდა. ქართოფილი კი, ჩვენდა განსაცვიფრებლად, იშვიათად იშოვებოდა, მაგრამ მაგიერად საზამთროს, ნესვის და სხვა ყოველნაირი ხილის იეფობა საგრძნობელი იყო უცხოებისათვის.

ძროხას და ცხენს ამისთინა მაღალი ფასი დიდიხანია არ ჰქონია აქ; განსაკუთრებით ძვირად ფასობდენ კვიცი ცხენები, რომელთაც რუსის-ყაზახების ჯარებისათვის ყიდულობდენ; ძვირად ფასობდენ ნაბდები, უნაგრები და ყველა ის, რაც ჩხუბის დროს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

როგორც უნდა იყოს, მაგრამ მოზდოქის ვაჭრობა ყოველ წლობით უკან-და-უკან მიდის მას შემდეგ, რაც ამ ქალაქს როსტვო-ვლადიკავკაზის რკინის გზა აშორდა და დიდი გამჭრიახობა არ არის მაინც და მაინც საჭირო, რომ კაცმა წინ-და-წინ სთქვას, თუ რა ბოლო მოელის აქაურ ვაჭრობას. ბევრს ვერ დაეხმარება სამი იარმუკა წელიწადში აქაური ვაჭრობის აყვავებას!

ბოგოლეთელი

ნარევი

ბრძოლის ველზე ნანახი და განაგონი

ქობულეთელი თავის ყანაში მუშაობს. Aმ დროს საიდამაც არის გაჩნდება, გამოძვრება ტყიდამ ხუთი ჩვენი „ახოვტნიკი“, სტაცებენ ხელს, დაიჭერენ და ტყვეთ წამოიყვანენ.

გზაზე მიუბრუნდებიან იმ ქობულეთელს და ეუბნებიან:

— ქობულეთელო! Aბა მოემზადე, თავი უნდა მოგჭრათ!

— რათა, თქვენი ჭირიმე? მე რა დამიშავებია თქვენთვის?

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! გაჩერდი, გაამშვირე კისერი!...

ქობულეთელი მიუბრუნდება ერთ იმათგანს, რომელიც უფროსსა ჰგავს და ეშმაკურის ღიმილით და თან ხვეწნით ეუბნება:

— Aხლა, ვსთქვათ, მომჭერით თავი; ხომ თქვენვე უნდა ათრიოთ მერე ეს საძაგელი, გასისხლიანებული ჩემი და წარუდგინოთ თქვენს უფროსს! რათ იკადრებთ ამას, რად შეწუხდებით უბრალოთ? Iს არა სჯობია, რომ ისევ მე მებას კისერზე და მევე მივართვა თქვენს უფროსს?!

„Aხოტნიკებს“ მოეწონათ ეს სიტყვა და დაანებეს თავი!...

* * *

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია, რომ როდესაც რომის პაპს უთხრესო, რომ რუსები პლევნასთან დაამარცხეს Oსმალებმაო, იმას ძალიან იამა და სთქვა შემდეგი სიტყვებიო:

— მე ძალიან მიხარიან რუსების დამარცხება, და ყოველთვიე კმაყოფილებით გვიგებ რუსების დამცირების ამბავს. Oსმალოები ბევრ ქრისტიან ხალხზე უფრო პატიოსანი ხალხია!

*
* *

გამოჩენილი ჰაერში მფრინავი ფრანცუზი Eჟენ გოდარი ამ თვის 20-ს, სალამოს 10 საათზე, ქალაქს სანტ-Eტიენში ჩამჯდარა აეროსტატში, აფრენილა მაღლა, გადაუფრენია Lეონეს მთებზე და შუალამისას, როგორც ფრანცუზული გაზეთები გვარწმუნებენ, სოფ. სან-Jერმენ-დე-Fლენში იხევ ჩამოფრენილა ძირს მიწაზე; ასე რომ ორი საათის განმავალობაში გოდარს თავის ჰაეროსტატით თითქმის 200 ვერსი გაუვლია.

მე-23 ტირაჟი მეორე შინაგანი სესხისა,

რომელიც მოხდა პეტერბურღში 1 ენკენისთვეს:

№ სერიისა	№ ბილეთისა	ჯამი მოგებისა:
14,289	37	
16,567	8	
17,993	49	
18,254	48	
5,030	5	
19,237	26	
957	44	
16,755	2	
17,933	2	
4,313	27	
1,928	28	1,000 მან.
14,490	17	
997	20	
8,011	12	
17,123	5	
5,404	41	
9,104	35	
14,882	12	
778	11	
14,633	12	

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თან — დასწრებით იქნება მხოლოთ ერთი ვაჭრობა, ხუთ ნაჭერ ქალაქის მიწაზე რომელიც ქალაქის მე-11 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ანდრეევსკის ქუჩაზე იმყოფება შემდეგ სამზღვრებში: ჩრდილოეთით — სახლი კაპიტანის შელიგოვისა აღმოსავლეთით — ანდრეევსკის ქუჩა, სამხრეთით — პიროჩნის ქუჩა და დასავლეთით — სახლი ღენერალ მამაცაშვილისა და მიწები ჰვიატკოვსკისა და პაიჭაძისა.

ვაჭრობა შემდეგ რიცხვებშია დანიშნული: პირველი და მეორე უჩასტკის მიწისა, რომელიც შეიცავს 191. 55 და 155, 7 ოთხ კუთხ საჟენს, 11 ენკენისთვეს. მესამე, 183 ოთხ-კუთხივ საჟენის უჩასტკის ვაჭრობა იქნება 23 ენკენისთვეს; მეოთხე უჩასტკისა — 182, 9 ოთხ-კუთხი საჟენი — 30 ენკენისთვეს და მეხუთე უჩასტკისა, რომელიც შეიცავს 181, 81 ოთხ-კუთხს საჟენ მიწას, 16 ენკენისთვეს ამ წლისას.

მოვაჭრენი ვალებულნი არიან, რომ კანონიერი გირაო წარმოადგინონ.

(3—1)

გაკვეთილები თეორეტიულის და პრაქტიულის **ბუხ-ღალტერიისა** ორ-გვარის ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე **სავაჭრო არითმეტიკისა.**

ადრესი: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პსაროვის სახლებში, № 14.

ქ. ხაჩატუროვი

(3—2)

ქუთაისში მიიღებენ ყმაწვილებს საშუალ სასწავლებლების მესამე კლასამდინ **მოსამზადებელად.**

მსურველს შეუძლიან იკითხოს „კოლხიდის“ სასტუმროში მადამ **დიუპონი.**

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

Eრევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

Aვათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და Lისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, Tამამშევი — თვალის ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: Lისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგან ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: Lისიცევი და Aსატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და Tამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

რკ. გზა.	დილ.		სალამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
Aხ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
Aხ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
Oცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, Oდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
Oსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
Iტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Iნგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. Oზურ. — პარასკ. და ორშ. Aხვეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Oზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 29 აგვისტოს		
Eრთი ნაწეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 259 სანტიმი.	—	81
Eსკონტი (სარგებლის ფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველი სესხი)	208	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	208	75
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
A ქ ც ი ე ბ ი:		
Oდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკურის. .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 2 ენკენისთვე		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	45
ფქვილი წითელი. . .	1	30
ქერი ფუთი. . . .	1	35
ბამბა Eრევნისა, ფუთი .	7	50
— Aმერიკისა, ფუთი. .	8	20
გაპენტილი ბამბა ფთ.	8	50
მატყლი თუშური ფთ .	5	—
— Tარაქამისა ფთ. .	3	40
Aბრეშუმი ნუხური ხტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	7	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	63
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, მროც. ფუთი .	8	10
— ფხვნილი ფუთი . .	7	70
ყავა გრგვალი, ფუთი .	30	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	11	50
Oქრო ½ იმპერიალი. .	7	85

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Сентября 1877 г. Типографiя Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.